

**ტაო-კლარჯეთი
ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაში
TAO-KLARJETI
IN ZURAB GORGILADZE'S WORKS**

მადონა კეჟერაძე

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შუახევი, საქართველო

Madona Kezheradze

St. Tbel Abuseridze Teaching University

of Patriarchate of Georgia

Shuakhevi, Georgia

ABSTRACT

Tao-Klarjeti is Georgia's biggest concern. The author, as a creative chronicler of the epoch, clearly conveys the spirit and aspirations of the nation. In his poetry, Zurab Gorgiladze as a passionate son of his country placed a special emphasis on his heartbreak.

When reading the poet's poems, we become convinced that he as a lyrical hero never abandons his country. The intensity of Zurab Gorgiladze's passion is nurtured by the historical past of his native land. The son of Adjara feels this pain more intensely because the sadness caused by being torn from his roots is very familiar to him.

The author is conscious of the hardships of his homeland, but he is worried that all he can offer is his poetic word. That is why he, as a mediator between God and man, and as a leader of the nation, uses the word as the only tool, urging the people to embrace vigilance, sensibility, and unity. The poet assures the reader that in spite of many hardships, the land of Tao-Klarjeti - "conversing with God like a vine" - will surely recover and regenerate.

The paper thematically examines the lyrical heritage of the poet, which is dedicated to the theme of Tao-Klarjeti.

საკვანძო სიტყვები: ტაო-კლარჯეთი, ქართული პოეზია, ზურაბ გორგილაძე.

Keywords: Tao-Klarjeti, Georgian poetry, Zurab Gorgiladze.

ტაო-კლარჯეთი საქართველოს მოუშუშებელი ჭრილობაა, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სულში ნაღვერდალივით ღვივის. ძნელად გვახსენდება შემოქმედი, რომლის მემკვიდრეობაშიც ამ მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ქართული კუთხის სადიდებელი არ ამოვიკითხოთ. ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ ზურაბ გორგილაძეს, როგორც თავისი ქვეყნის მოჭირნახულე შვილს, თავის პოეზიაში ღირსეული ადგილი მიენიჭებინა ამ ტკივილისათვის:

„თან სიყვარული...

თან სინანული...

ვარ გარეკილი შენს ბელტებში ნაღდი სახრეთი,

და უგულწრფელს ჩანგის ჟღარუნით,

აღმოსავლეთობს ჩემი სამხრეთი“ (გორგილაძე 2006: 114).

მართალია, მის გადასარჩენად პოეტი მხოლოდ „ქართულს ბედავდა“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცდა საკმარისი და მით უმეტეს დროული ვეღარ აღმოჩნდა. პოეტი წუხს, რომ ვერ „უერთგულა“, ვერ მოუარა მისი დიდების ფერფლს... პოეტს მავანი ემართლება „– შენ ამაღლდიო!“, მაგრამ მათ რა იციან, რაოდენი „ნერვების წეწვა უნდა ამ ამაღლებას!..“, რადგან „დაღლილი და ამპარტავანი“ წარსული უკვე გადაჩეხილია უფსკრულში... და მაინც, რაც იყო – არ იკარგება:

„ვის, ვის მივუგდებ ათასწლეულებს –

გონიოს ქვებში, ჩუქურთმებში დაშლილ-დახეთქილს?

ტაო-კლარჯეთი მასულდგმულებს და მასნეულებს,

აღმოსავლეთობს ჩემი სამხრეთი“ (იქვე).

ზურაბ გორგილაძე ლექსში „რაიც ოდესღაც მქონდა“ წიწამურივით მხარეს უწოდებს მას. ეს ის ადგილია, სადაც მხოლოდ დარდის გასაქარვებლად შეჩერდებოდა მგზავრი და არა მათ „შასაკრებად“, მაგრამ დრომ ასე გვარგუნა...

ხოლო ლექსში „სული კლარჯეთის“ „უშედეგო იმედს“ უწოდებს მას. ეს ის იმედის ნაპერწკალია, რომელიც არასოდეს ჩაქრება ნებისმიერი ქართველის გულში, მაგრამ, ამასთანავე, იგი უშედეგო ცდაა, რადგან, რაც დრო გადის, ამ კუთხის დაბრუნების იმედი უფრო და უფრო ქრება... ლექსში ავტორი თავის მისიას, როგორც პოეტი, ახმოვანებს:

„ჩემი ლექსი ქართული განგაშით თუ თარეშით

ისევ დგას ციხესავით განაპირა მხარეში

და ვუმწყემსავ ქვეყანას ქვეყნის სიმყუდროვემდე,

ტახტის ფერხთით მორთულ თუ დამხოზილ პოეტებს“ (გორგილაძე 2006: 194).

ლექსში ცოცხლდება ტაო-კლარჯეთის ისტორია. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველ მეფეთა სახეები, რომელთაც საქართველო ტკიოდათ. საქართველოს ისტორია ხომ გაუტეხელ მეფეთა ისტორიაა:

„სული კლარჯეთის ნათლით აოტა და იოტა,

და დიდ მეფეს ჯანმრთელი საქართველო სტკიოდა...”

ისტორიული ფაქტებით მდიდარია ლექსი „მინაწერი ფილმზე „ტაო-კლარჯეთი“. სათაურიდანვე ჩანს, რომ ლექსში საუბარია საქართველოს

მირძველ ქართულ მიწაზე. მოლოდინი მართლდება. პოეტი შესავალშივე ახერხებს მკითხველის გონების დაძაბვას, მეტიც, იგი ხალხს ყურადღებისკენ, გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს:

„თუ ქართველი ხარ, რას ფიქრობ!

თუ ვაჟკაცი ხარ, რას შერები!“ (გორგილაძე 2006: 10).

ეს სიტყვები ნებისმიერი ქართველის გულს ააფორიაქებს. რას გრძნობს თავად ავტორი?!. უდავოა, რომ პოეტი ჭეშმარიტი ქართველი და გულმხურვალე მამულიშვილია, რამეთუ მას ესმის ქართული მიწის თითოეული ბელტის, ქვის, ბალახის, მდინარის... ესმის თითოეული ქართველის „სიმღერა“:

„ეგ ლამაზი კაბა-წინდა ვინ მოგიტანაო?

ჩემმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო...

ეგ ლამაზი ბეზლუნგები ვინ მოგიტანაო?

ჩემმა მდადემ, ჩემმა დიამ, მან მომიტანაო...

გურჯისტანის ყვავილები ვინ მოგიტანაო?

ჩემმა ნეფემ, ჩემმა ღმერთმა, მან მომიტანაო“... (იქვე).

ამ სტრიქონებში ყველაზე უკეთ იკვეთება სამშობლოდაკარგული ადამიანის გულისტკივილი. პოეტს გულში დაუმარხავს ეს განცდა და თანაუგრძნობს:

„სული არ შეგეწამლება?

გული არ დაგენაცრება?“ (იქვე).

ამასთან, მას ესმის ქართული მიწის მოთმინებისა და გრძნობს, რომ „საქართველოს“ დროზე უნდა მივეშველოთ:

„რა ქნან, სანამდე გიცადონ

გაციებულმა ტაძრებმა?!“

ამ სიტყვებით ზ. გორგილაძე კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქართველ ხალხს ერთობისა და მთლიანობისაკენ. მეტიც, მოუწოდებს, რომ შინადაპირისპირება დაივიწყონ, რადგან ჩვენს საზღვრებს იქით დარჩენილს უნდა პატრონობა და მხარში დგომა:

„შიგნით რას მერჩი, ქართველო,

გარეთ გვყავს გადასარჩენი!“

შ. მახაჭაძე ლექსის შესახებ აღნიშნავს: „დიდებულადაა ნაგრძნობი და გადმოცემული საკუთარ ფესვებს ძალად მოგლეჯილი ადამიანების ტკივილი და სევდა, პოეტი მათთან სისხლისმიერ ნათესაობას გრძნობს და ამიტომაც ასე მძაფრი და გულწრფელია მისი ემოცია“ (მახაჭაძე 2006: 155).

ჩვენი კუთხის შვილი უფრო მძაფრად შეიგრძნობს ამ ტკივილს, რადგან მისთვის ძალიან ახლობელია მშობლიურ ფესვებს მოწყვეტით გამოწვეული სევდა. ამავე მიზეზით დაიწერა „ჩამივარდება კლარჯულ სისხლში...“ (გორგილაძე 1981: 25).

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!“ – წერდა ილია (ჭავჭავაძე 1977: 243). ზურაბ გორგილაძე ილიას ღირსეული მემკვიდრეა, როცა წერს: აბა, რით მოგიკვდე, რით გემსახურო?..

უდავოა, რომ პოეტის სული ყოველთვის თან სდევს საქართველოს – „ვარდის ფურცელს“... ღირსეული მამულიშვილი „საფიცარ“ სამშობლოს

ახლავს „მარაბდასთან“, „შამქორთან“... და, მართალია, საუკუნეების შემდეგ, მაგრამ ის მაინც სხვებთან ერთად „ომობდა“!..

ლექსის კითხვისას ჩვენს თვალწინ იშლება ტაო-კლარჯეთის წარსული და აწმყო. ამ შემთხვევაში კი პოეტი რიგით კლარჯელად გვევლინება, რომელიც თავის „ხატ-მამულს“ დაფნის რტოსა და ვაზის პერანგს ადარებს. ვფიქრობთ, შედარებები კომენტარს არ საჭიროებენ იმისათვის, რომ ვამტკიცოთ „კლარჯელის“ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი.

...უჭირს მამულს!.. უჭირს, მაგრამ მისი შვილი ვერაფრით შველის, გარდა სიტყვისა, თუმცა ზოგჯერ დროულად ნათქვამ სიტყვასაც ძალუძს ბევრის გაკეთება:

„ვიცი! – ო, ვიცი, მარტო ლექსის წერა არ კმარა.

თუმცა, – ...

ემუხთლოს შენზე შენს მომღერალს და ევერაგოს?..

– არც არასოდეს!“

ყოველივე ზემოთ თქმული გვიღვიძებს სურვილს, რომ გავკადნიერდეთ და ლექსი შემდეგნაირად, ჩვენეულად დავასათაუროთ: „ვარდის ფურცელი კლარჯულ სისხლში“.

ტაო-კლარჯეთის თემა სულ სხვანაირი ელფერთა და სახე-ხასიათითაა გადმოცემული ლექსში „წყალნი წითლად დადიოდნენ“, სადაც პოეტის გრძნობა-გონებას ოპტიმიზმი იმონებს. ავტორი ლექსში ამაყია „კლარჯეთის“ კლარჯეთობითა და „კლარჯელის“ კლარჯელობით:

„მე კი მიკვირს... და არც მიკვირს,

ციხით,

მჯიღით, კლდით თუ კბოლით,

არ გემარჯვა, – რა კლარჯი და

რა კლარჯეთი იქნებოდი“ (გორგილამე 2006: 32).

პოეტი წუხს, რომ აღნიშნულ კუთხეს ბევრი ჭირ-ვარამი აქვს გამოვლილი, მაგრამ რადგან იგი „ვაზივით საუბრობდა ღმერთთან“, „აღსდგა და აღორძინდა“...

აღორძინების ბოლო კი დიდებაა! დამსახურებული დიდება!..

ვფიქრობთ, ეს დიდება პოეტის სიტყვების – „ყველაფერს დამსახურება უნდა“ – შვილია, „შვილისა“ და „მშობლის“ უდავო კავშირს კი შემდეგი სიტყვები ადასტურებს:

„გაიწირე?! – საქართველოს

სიცოცხლისთვის გაიწირე“ (გორგილამე 2006: 32).

დამსახურებული დიდება კი, თავის მხრივ, ხშირად ერთ მისხალ არსებობაშიც იკვეთება:

„მაჭახელში დადებული

მარტო შენი კუნძი კმარა.

მერე რა, რომ

გამდგარა და ფუშტი გჭორავს,

...ბრიყვი გჩხვერავს!

მთავარია:

შენ კი ღმერთმა შენს ქვაზე და

შენს ჭიშკარზე დაგაბერა“ (გორგილამე 2006: 32).

და ბოლოს, პოეტი „კურთხეულ“ კუთხეს მტერ-მოკეთის უკეთ გამოცნობის სანაცვლოდ „მოუსვრელობის“ პირობას უდებს... აკი ერთგან ამბობს კიდევ:

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბლეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები,
მიყვარს ზვავების და ლოდების გულზე ჯახება,
მიყვარს ამ მთებში გავარდნა და გაყაჩაღება...“ (გორგილაძე 2006: 47).

ლექსში ავტორი კიდევ ერთხელ იხსენებს მრავალჭირგამოვლილ საქართველოსა და ქართველობას, მათზე ღვთის წყალობასა და შედეგად შექმნილ ლირიკულ ნაწარმოებებს:

„განტოტვილი ვარ, გაფანტული ცხრაჯერ ცხრა მხარეს,
სად არ დამჩხეს, სად არ დამკლეს, სად არ დამყარეს...
ჩემი მძვინვარე მუხამბაზი არ იმღერება!..“ (იქვე).

ტაო-კლარჯეთი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ზურაბ გორგილაძის სულის ნაწილად და ამიტომაცაა პოეტი მისი ბეწვაშლილი ბოკვერი, ამიტომაც არ სურს მის სულს მოსვენება.

დამოწმებული ლიტერატურა

გორგილაძე 1981: გორგილაძე ზ., ლექსები. ბათუმი, 1981.

გორგილაძე 2006: გორგილაძე ზ., რჩეული. ბათუმი, 2006.

მახაჭაძე 2006: მახაჭაძე შ., სულთა გადამახილი. ბათუმი, 2006.

ჭავჭავაძე 1977: ჭავჭავაძე ი., ქართული პოეზია, ტ. VII. თბილისი, 1977.